დანართი

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2025 წლის 9 თვის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური - შესრულების ანგარიში

ასპინძის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულ იქნა 2024 წლის 20 დეკემბერს და ბიუჯეტი განისაზღვრა 16 010,8 ათასი ლარით. 2025 წლის 9 თვის განმავლობაში განხორციელებულიბული ცვლილებებით ასპინძის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტმა შეადგენს 24 005,3 ათას ლარს. კერძოდ დამტკიცებული ბიუჯეტი გაიზარდა:

- წლის დასაწყისისათვის დამტკიცებული ბიუჯეტი 16 010,8 ათ ლარი

- წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთის ასახვით (2 611.8 ათ.ლარი),

- საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბერის N 1955 განკარგულებით (4 458,2 ათ. ლარი) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის გამოყოფილი თანხა;

- საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის N 53 განკარგულებით (294,0 ათ. ლარი) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხა;

-საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 იანვრის N146 განკარგულებით(151,7 ათ.ლარი) ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ გამოყოფილი თანხა;

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის N474 დადგენილებით (137,121 ათ. ლარი)

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისისს N 1207 განკარგულება მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონიძიებების შესახებ (165,3 ათ.ლარი)

სკოლების რეაბილიტაციისათვის გამოიყო 176,2 ათასი ლარი.

ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

2025 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 2 611,8 ათასი ლარი.

2025 წელი -ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ანალიზი.

2025 წლის 9 თვის განმავლობაში დაგეგმილი იყო 18 345.4 ათასი ლარი, ფაქტიურმა შემოსავლებმა შეადგინა 17 871.3 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 97.4,%-ით: მათ შორის:

- **ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები**

2025წლის 9 თვის განმავლობაში დაგეგმილი იყო 12 759,0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 12 989,2 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 102 %-ით. აქედან:

დამატებული ღირებულების გადასახადი დაგეგმილი იყო 10 133,0 ათასი ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 9 033,2 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 89,2%-ით.

ქონების გადასახადიდან 2025 წლის 9 თვის განმავლობაში დაგეგმილი იყო 2 626,0 ათასი ლარი, შემოვიდა 3 955,9 ათასი ლარი.

- საქართველოს საწარმოთა ქონებისა (გარდა მიწისა) შემოვიდა -3 939,7 ათასი ლარი;

-ფიზიკურ პირთა ქონებაზე 0,4 ათასი ლარი;

-სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან შემოვიდა 14,2 ათასი ლარი;

- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან შემოვიდა 1,7 ათასი ლარი;

- **ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტებიდან** მიღებული შემოსავლები შესრულდა 83,4%-ით, დაგეგმილი იყო 5 084,4 ათასი ლარი, ფაქტმა შეადგინა 4 239,2 ათასი ლარი. მ/შ მიმდინარე: 193,2 ათასი ლარი ხოლო კაპიტალური-4 046,0 ათასი ლარი.
- **სხვა შემოსავლები,** დაგეგმილი იყო 495,0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 631,5 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 127,6%-ით. აქედან:
  - **შემოსავლები საკუთრებიდან** დაგეგმილი იყო 320,0 ათასი ლარი, შემოსავალმა შეადგინა 469,1 ათასი ლარი მ.შ.:

- **პროცენტებიდან მიღებულმა** შემოსავალი 9 თვის განმავლობაში დაგეგმილი იყო 60,0 ათასი ლარი, შეადგინა 184,0 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა გადაჭარბებით 307,0%-ით.
- რენტა დაგეგმილი იყო 260,0 ათასი ლარი , შემოვიდა 285,1 ათასი ლარი. რაც გეგმის -109,7 %-ია.

- **საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია** - დაგეგმილი იყო 25,0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 31,6 ათასი ლარი . (126.4%) მ.შ.:

სანებართვო მოსაკრებლი დაგეგმილი იყო 5,0 ათასი ლარი, შემოვიდა 12,1 ათასი ლარი.

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის დაგეგმილი იყო 20,0 ათასი ლარი, შემოსავალმა კი შეადგინა 18,9 ათასი ლარი და შესრულდა 95 %-ით;

- **სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან შემოსავლებში** მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 99,0 ათასი ლარი.
- **ტრანსფერები რომელიც სხვაგან არარის კლასიფიცირებული** მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 31,8 ათასი ლარი.
- **არაფინანსური აქტივების კლებიდან** დაგეგმილი იყო 7,0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 11,4 ათასი ლარი.

სულ ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა ცხრა თვის განმავლობაში გამოიყურება ასე:

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმა:

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 21 076,8 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო შესრულებამ შეადგინა 12 254,3 ათასი ლარი.
რაც გეგმიური მაჩვენებლის 58,1 %-ია. მათ შორის:

- **ხარჯების** დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 9 358,7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა 6 914,8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 74,0 %-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 56,4 %-ია.

- **არაფინანსური აქტივების ზრდის** დაზუსტებულმა გეგმამ 11 718,1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 5 339,5 ათასი ლარი, მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 44 % -ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით :

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 2 475,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 978,9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 80 %-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 16 %-ია.

„საქონელი და მომსახურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 1 344 ,7 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ შეადგინა 945,4 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი საკასო შესრულების 7,7 %-ია.

,,პროცენტის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

„სუბსიდიების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 3 561,1 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 2 791,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 78,4%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 22 %-ს შეადგენს.

„სუბსიდიების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- ა(ა)იპ გარე განათების დაფინანსება - 114,01 ათასი ლარი;
- სარწყავი არხების მოწყობა რეაბილიტაციის ხელშეწყობა - 202,3 ათასი ლარი;
- დასუფთავების ღონისძიებები - 478,2 ათასი ლარი;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა - 1 162,3 ათასი ლარი;
- სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობისათვის - 229,7 ათასი ლარი;
- კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობისათვის - 445,0 ათასი ლარი;

- საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელსეწყობა-8,8 ათასი ლარი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოც უზრუნველყოფა 151,5 ათასი ლარი;

„გრანტების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 80,0 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 30, 0 ათასი ლარი.

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 831,6 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 754,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 90,7 %-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 6,2 %-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- მოსახლეობის უფასო სასადილოთი მომსახურება გეგმით 45,0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 33,1 ათასი ლარი.
- სოციალურად დაუცველი, გადახდის უუნარო მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის ხარჯი გეგმით 90,0 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 74,8 ათასი ლარი;
- ახალდაბადებულ ბავშვთა დახმარების პროგრამა – გეგმით 42,0 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 34,4 ათასი ლარი;
- სხვა სოციალური დახმარებები - გეგმით განისაზღვრა 619,6 ათასი ლარი; ფაქტიური შესრულება 586,5 ათასი ლარი;
- ვეტერანთა და დევნილთა სარიტუალო ხარჯი გეგმით განისაზღვრა 1,0 ათასი ლარი; ფაქტიური შესრულება 0 ლარი.
- ასევე საავადმყოფო ფურცელზე მყოფთა დახმარება - გეგმით განისაზღვრა 33,0 ათასი ლარით; ფაქტიური შესრულება 25,3 ათასი ლარი;

„სხვა ხარჯების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1 066,3 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 414,8 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 40 %-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 3,4%-ია.

„სხვა ხარჯების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- საკრებულოს დეპუტატების ხარჯი 106,0 ათასი ლარი;

- მერიის სხვა მიმდინარე ტრანსფერი -70,00 ათასი ლარი;
- ბინათმშენებლობიდან მოსახლეობის დაზიანებული საცხოვრებელი სახლებისთვის მასალების შესყიდვა. 9,0 ათასი ლარი.
- საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა--5,0 ათასი ლარი.
- სპორტის სხვადასხვა ღონისძიებები ფინანსური მხარდაჭერის და წარმატებული მოსწავლეების წახალისებისათვის - 4,2 ათასი ლარი.
- ახალგაზრდულიორგანიზაციების დაფინანსება 16,09 ათასი ლარი.
- რელიგია-198,4 ათასი ლარი.
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური ხარჯები-6,1 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდა გეგმით განსაზღვრული იყო 11 718,1 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ კი შეადგინა 5 339,5 ათასი ლარი.

ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ასპინძის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 9 თვის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად მიიმართა:

- **მმართველობა და დანიშნულების** ხარჯმა შეადგინა– 3 126,8 ათასი ლარი, დაგეგმილი იყო 4 536,7 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 68,9 %-ით.
- **ეკონომიკური საქმიანობის** ხარჯმა შეადგინა – 4 221,75 ათასი ლარი, დაგეგმილი იყო 8088,2ათასი ლარი გეგმის შესრულდა 53%-ით
- **გარემოს დაცვა** ფაქტიური ხარჯის მიხედვით არის– 577,6 ათასი ლარი, ხოლო გეგმა შეადგენს 909,8 ათას ლარს, გეგმა შესრულდა-63,5%-ით ;
- **საბინაო–კომუნალური მეურნეობის** ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 545,4 ათასი ლარი, ხოლო გეგმა შეადგენს -1 634,0 ათს ლარს. გეგმა შესრულებულია -გეგმა 34 %-ით;
- **ჯანმრთელობის დაცვის** ხარჯმა შეადგინა –122,7 ათასი ლარი, დაგეგმილი იყო-143,0 ათასი ლარით, გეგმა შესრულებულია -85,9 %-ით;
- **დასვენება, კულტურა და რელიგიის** ხარჯი შეადგენს–1 597,3 ათასი ლარს , გეგმა - 3 029,8 ათასი ლარს. გეგმა შესრულებულია-53 %-ით;

- **განათლება**–ხარჯი შეადგენს–1 294,3 ათასი ლარს , გეგმა -1 833,3 ათასი ლარს, გეგმა შესრულებულია -70,6%-ით;
- **სოციალური დაცვა**-ხარჯი შეადგენს–768,6 ათასი ლარს , გეგმა -902,0 ათასი ლარს, გეგმა შესრულებულია -85,2 %-ით;

ასპინძის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით 2025 წლის 9 თვეში დაფინანსებული პრიორიტეტებია:

- **ინფრასტრუქტურა;**
- **დასუფთავება და გარემოს დაცვა;**
- **განათლება;**
- **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;**

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2025 წლის I I I კვარტალის გეგმა	2025 წლის I I I კვარტალის ფაქტი	% გეგმა ფაქტი	%
01 00	მართველობა და საერთო დანშინულების ხარჯები	4 536,70	3 126,80	68,9	25,5%
02 00	ინფრასტრუქტურა	10 025,10	4 857,40	48,5	39,6%
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	607	487,3	80,3	4,0%
04 00	განათლება	1 833,30	1294,3	70,6	10,6%
05 00	კულტურა, რელიგიაახალგაზრდოაბის ხელშეწყობადა სპორტი	3 029,80	1597,3	52,7	13,0%

06 00	**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოცია-ლური უზრუნვე-ლყოფა**	**1044,9**	**891,3**	**85,3**	7,3%
სულ ჯამი		**21 076,80**	**12 254,40**	**58,1**	100,0%

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახური

2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით, სახელმწიფო შესყიდვების გეგმის გათვალისწინებით განხორციელდა ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვები:

№	შესყიდვის დასახელება	სულ გამოცხადებული ტენდერი	ტენდერის სტატუსი							
			გამოცხადებულია	დასრულდა უარყოფით შედეგით	არ შედგა	შეწყვეტილია	შერჩევა/შეფასება	მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება	ხელშეკრულება დადებულია	
									სულ:	მათ შორის: შეუსრულებელი ხელშეკრულება
1	ელექტრონული ტენდერი SPA	1	0	0	0	0	0	0	1	0
2	ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე NAT	73	0	5	9	0	0	1	58	1
	სულ	74	0	5	9	0	0	1	59	1

2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით ელექტრონული ტენდერები სულ გამოცხადებული იყო 9 788 344 ლარზე, გაფორმდა ხელშეკრულებები 9 145 137 ლარზე, ეკონომიამ შეადგინა 643 207 ლარი.

სულ 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით ,,მიმწოდებელთან'' გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 134 ხელშეკრულება. მათ შორის: ელექტრონული ტენდერებით - 59 ხელშეკრულება, გამარტივებული შესყიდვით - 61 ხელშეკრულება, კონსოლიდირებული შესყიდვით - 14 ხელშეკრულება.

ზემოთაღნიშნული შესყიდვების სახელშეკრულებო ღირებულებამ მთლიანად შეადგინა - 9 809 945 ლარი (აქედან ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე - 8 025 508 ლარი). მათ შორის:

გამარტივებულ შესყიდვით - 402 100 ლარი.

- სოფლის მხარდამჭერი პროგრამით - 203667 ლარი;
- სოფლის მხარდამჭერი პროგრამით საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე - 25 084 ლარი;
- ,,სარეზერვო ფონდიდან''გამოყოფილი თანხიდან - 9005 ლარი;
- სხვა დანარჩენზე - 164 344 ლარი;

კონსოლიდირებული შესყიდვით 262 708 ლარი.

- მოსწავლეთა ტრანსპორტირებაზე 167 662 ლარი;
- სხვა დანარჩენ შესყიდვაზე (საქონელი და მომსახურება) გაფორმდა ხელშეკრულებები 95 046 ლარზე;

ელექტრონული ტენდერებით 9 145 137 ლარი.

- ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე გაფორმდა ხელშეკრულებები
  7 821 841 ლარზე, მათ შორის: სოფლის მხარდამჭერი პროგრამით - 539 208 ლარი;
- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე შესყიდვაზე გაფორმდა ხელშეკრულებები - 105 600 ლარზე;
- დაბა ასპინძაში მზრუნველობა მოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვების უზრუნველყოფის მომსახურება 57 450 ლარი;
- ,, მომსახურებები მშენებლობის ზედამხედველობის სფეროში'' - 352 000 ლარზე;

- ავტომანქანების (ამწე კალათა, მიკროავტობუსი, სატვირთო) შესყიდვა - 426 966 ლარი;

სხვა დანარჩენ შესყიდვაზე (საქონელი და მომსახურება) გაფორმდა ხელშეკრულებები 381 280 ლარზე.

ზედამხედველობის სამსახური

ზედამხედველობის სამსახურში სულ შემოვიდა 1755 წერილი და განცხადება, აქედან დამუშავებული და ჩამოწერილია 1695 დოკუმენტი.

2025 წელს მომზადდა შუალედური და დასრულებული 33 აქტი. აღნიშნული დოკუმენტაციის მომზადებას წინ უძღვოდა ადგილზე მონიტორინგი, რომელიც ხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისად.

2025 წელს ასევე მომზადდა მიღება-ჩაბარების 20 აქტი.

მიმდინარე წელს მოხდა 33 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტის მიღება-ჩაბარება, აქედან 23 სოფელში განხორციელდა სოფლის პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

2025 წელს შედგა ასპინძის მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურებისთვის შედგა მიღება-ჩაბარების 6 აქტი.

2025 წელს შედგა ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებული 11 დათვალიერების აქტი და 11 მიღება-ჩაბარება.

2025 წელს ზედამხედველობის სამსახურმა შეადგინა 8 მითითება საფრთხის შემქმნელი შენობა-ნაგებობის შესახებ.

2025 წელს სულ ზედამხედველობის სამსახურმა მოამზადა მშენებლობა დამთავრებული ობიექტი ექსპლუატაციაში მიღების, ვარგისად აღიარების 5 ოქმი. **8,025,972**

სულ მიმდინარეობს და დასრულებულია 8 768 847ლარის 47 ინფრასტრუქტურული პროექტი, აქედან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასრულდა 12 პროქტი და მიმდინარეობს 7, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი- 13, ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული - 7, მოქალაქეთა ჩართულობის, განვითარების ხელშეწყობის პროგრამა-3, სკოლები-3.

ზედამხედველობის სამსახურის მიერ ყოველდღიურად ხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი, ადგილზე მოწმდება მშენებლობის ხარისხი და გეგმა-გრაფიკის მიმდინარეობა, ასევე სისტემატურად ხდება უკანონო მშენებლობების გამოვლენა და მასზე კანონიერი რეაგირება.

მიმდინარე პროექტები, რომლებზეც ხორციელდება ზედამხედველობა, მონიტორინგი და კონტროლი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

1.დაბა ასპინძაში სანაპიროს ქუჩის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-1 362 999,93 ლარი

2.სოფელ რუსთავში შიდა გზების რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-790 000 ლარი
3. სოფელ ოშორაში კლუბის სრული რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-305 980 ლარი.

4.სოფელ იდუმალაში კლუბის სრული რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-298 888 ლარი.
5.დაბა ასპინძაში ვარძიის ქუჩაზე სანიაღვრე არხისა და ტროტუარების რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-279 999,95 ლარი.
6. დაბა ასპინძაში სანაპიროს ქუჩის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-878 000 ლარი.
7.სოფელ დამალაში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-920 000.00 ლარი.
8. დაბა ასპინძაში მდინარე ოთის წყალზე გაბიონების მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება-195197ლარი.
9. სოფელ ფიაში შიდა გზის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-366 000 ლარი.
10. სოფელ რუსთავში გარე განათების მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება-138895 ლარი.
11.ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთაში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-324280 ლარი.
12. ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობარეთში და სოფელ ნიჯგორში გარე განათების მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება-188797.80 ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი 2024-2025

1.დაბა ასპინძაში მეფე ერეკლე II ქუჩის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი). სახელშეკრულებო ღირებულება-1 005 624,94 ლარი.

სკოლები

1.სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-73871,70 ლარი
2. ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლის პანდუსის მოწყობა). სახელშეკრულებო ღირებულება-27649 ლარი.
3. ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება-57657,36 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტები

1.დაბა ასპინძის ქუჩებისა და ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლებში მისასვლელი გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის)სამუშაოების შესყიდვა. სახელშეკრულებო ღირებულება-300 000 ლარი.

2.ასპინძის მუნიციპალიტეტის, სოფელ აწყვიტაში შიდა გზის მოწყობასახელშეკრულებო ღირებულება-824999,99 ლარი.
3.ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხერთვისში შიდა გზის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-239699.65 ლარი.
4.ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფელ დამალაში მინი სპორტული მოედნის მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება-172999,45 ლარი.
5.ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევში შიდა გზების რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-456300 ლარი.
6. ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხიზაბავრაში, მინი სპორტული მოედნის მოწყობასახელშეკრულებო ღირებულება-133836,97 ლარი.
7. ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიჯგორში, მინი სპორტული მოედნის მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება-133376,97 **ლარი**

მოქალაქეთა ჩართულობის, განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

1. დაბა ასპინძაში გარე განათების რეაბილიტაცია.
2. ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ მირაშხანში რიტუალების სახლის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება- 73489 ლარი.
3. ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ივერიაში რიტუალების სახლის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-74890 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2025 წელს განსახორციელებელი პროექტები

1. სოფელი რუსთავი - სატუმბი სადგურისთვის ძრავტუმბოს შეძენა. სახელშეკრულებო ღირებულება- 20000 ლარი.
2. სოფელი რუსთავი- პირუტყვის სარწყულებლების მოწყობა - სახელშეკრულებო ღირებულება- 24127.31 ლარი.
3. სოფელი იდუმალა- სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება 35054.84 ლარი.
4. სოფელი ოშორა- სასაფლაოს შემოღობვა. სახელშეკრულებო ღირებულება- 42699.96 ლარი.
5. სოფელი დამალა- გზის საყრდენი კედლის და სანიაღვრე არხების მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება- 53000 ლარი.
6. სოფელი ივერია-სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება- 42972.59 ლარი.
7. სოფელი ოთა- სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება- 55472.34 ლარი.
8. სოფელი ნიჯგორი-სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება- 32259.53 ლარი.

9. სოფელი სარო-სველი წერტილების მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება- 17758.3 ლარი.
10. სოფელი ხიზაბავრა-სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება- 39896.31 ლარი.
11. სოფელი ჭობარეთი-სანიაღვრე არხების მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება- 34633.63 ლარი.
12. სოფელი ძველი-სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება- 34167.48 ლარი.
13. სოფელი ორგორა-სპორტული ტრენაჟორების მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება- 33607 ლარი.
14. სოფელი საყუდაბელი-სანიაღვრე არხების მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება- 27366.35 ლარი.
15. სოფელი აწყვიტა-გარე განათების მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება- 45888 ლარი.
16. სოფელი ხერთვისი-სარწყავი არხების რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება- 35822 ლარი.
17. სოფელი გელსუნდა-სოფლის ხიდების რეაბილიტაცია- სახელშეკრულებო ღირებულება- 24072.11 ლარი.
18. სოფელი ნაქალაქევი-საბავშვო სკვერის შესაბამისი ინვენტარის შეძენა და გარე განათების მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება- 47720.1 ლარი.
19. სოფელი ფია-სპორტული ტრენაჟორების მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება- 33365.88 ლარი.
20. სოფელი თმოგვი-სპორტული ტრენაჟორების მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება- 32915.12 ლარი
21. სოფელი მირაშხანი- სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება- 30076.26 ლარი.

ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური

2025 წელს ასპინძის მუნიციპალიტეტში სულ განხორციელდა და მიმდინარეობს **55** ინფრასრუქტურული პროექტი- **9 621 948.25** ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი 2025 წლის

1. დაბა ასპინძაში სანაპიროს ქუჩის რეაბილიტაცია *მთლონ.სახელშეკრულებო 1 363 000 ლარი 2025წ - - 868 974 ლარი.*

2. სოფელ ოთაში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 324 280 ლარი.

3. დაბა ასპინძაში მეფე ერეკლე II ქუჩის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) 1 005 625 ლარი.

4. სოფელ რუსთავში შიდა გზების რეაბილიტაცია 790 000 ლარი.

5. სოფელ ოშორაში კლუბის სრული რეაბილიტაცია 305 540 ლარი.

6. სოფელ იდუმალაში კლუბის სრული რეაბილიტაცია 274 868 ლარი.

7. დაბა ასპინძაში სანიაღვრე არხისა და ტროტუარების რეაბილიტაცია 277 084 ლარი.

8. სოფელ დამალაში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 919 576 ლარი.

9. დაბა ასპინძაში მდინარე ოთის წყალზე გაბიონების მოწყობა 195 197 ლარი.

10.სოფელ ფიაში შიდა გზის რეაბილიტაცია 366 000 ლარი.

11. სოფელ რუსთავში გარე განათების მოწყობა 138 895 ლარი.

12. ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობარეთში და სოფელ ნიჯგორში გარე განათების მოწყობა 188 800 ლარი.სულ 5 654 839 ლარი.

რეგფონდი გარდამავალი 2024

1. დაბა ასპინძაში მეფე ერეკლე II ქუჩის რეაბილიტაცია . 641 310 ლარი.

სკოლები (დელეგირებული).

1. ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველის საჯარო სკოლის რებილიტაცია.(რეაბილიტაცია ჩაუტარდება დერეფანს და ხუთ ოთახის). 73 876 ლარი.

2. ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლის რებილიტაცია. (მოეწყობა პანდუსი). 27 649 ლარი.

3. ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლის რებილიტაცია .(მოეწყობა გათბობა). 57 658 ლარი.

სულ 159 183 ლარი

ადგილებრივი ბიუჯეტი..

1. დაბა ასპინძის ქუჩებისა და ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლებში მისასვლელი გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) სამუშაოების შესყიდვა. 300 000 ლარი

2. ასპინძის მუნიციპალიტეტის, **სოფელ აწყვიტაში** შიდა გზის მოწყობა 825 000ლარი.

3. ასპინძის მუნიციპალიტეტის **სოფელ ხერთვისში** შიდა გზის რეაბილიტაცია 239 700 ლარი

4. ასპინძის მუნიციპალიტეტში, **სოფელ დამალაში** მინი სპორტული მოედნის მოწყობა

173 000 ლარი.

5. ასპინძის მუნიციპალიტეტის **სოფელ ნაქალაქევში** შიდა გზების რეაბილიტაცია

456 300 ლარი.

6. ასპინძის მუნიციპალიტეტში, **სოფელ ხიზაბავრაში**, მინი სპორტული მოედნის მოწყობა

133 837 ლარი

7. ასპინძის მუნიციპალიტეტის **სოფელ ნიჯგორში,** მინი სპორტული მოედნის მოწყობა

133 377 ლარი.

სულ 2 261 214 ლარი

მოქალაქეთა ჩართულობა

1. **დაბა ასპინძაში** გარე განათების რეაბილიტაცია 64 000 ლარი (ტენდერზეა).

2. ასპინძის მუნიციპალიტეტის **სოფელ მირაშხანში** რიტუალების სახლის რეაბილიტაცია (მოქალაქეთა ჩართულობა) 73 489 ლარი.

3. ასპინძის მუნიციპალიტეტის **სოფელ ივერიაში** რიტუალების სახლის რეაბილიტაცია (მოქალაქეთა ჩართულობა) 74 890 ლარი.

სულ 212 379 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2025 წელს განსახორციელებელი პროექტების შესახებ ინფორმაცია

რუსთავი სატუმბი სადგურისთვის ძრავტუმბოს შეძენა 20 000 ლარი. პირუტყვის სარწყულებლების მოწყობა 24 127.3 ლარი.
იდუმალა სასოფლოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 35 054.8 ლარი.
ოშორა სასაფლაოს შემოღობვა 42 700 ლარი.

დამალა გზის საყრდენი კედლის და სანიაღვრე არხების მოწყობა 53 000 ლარი.

ივერია სასოფლოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 42 972.6 ლარი.

ოთა სასოფლოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 55 472.3 ლარი.

ნიჯგორი სასოფლოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 32 259.5 ლარი.

სარო სველი წერტილების მოწყობა 17 758.3 ლარი.

ხიზაბავრა სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია 39 896 ლარი.

თოკი სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია 29622.25 ლარი. (ტენდერი).

ვარგავი სარწყავი სისტემის მოწყობა 29226.97 ლარი (ტენდერი).

ჭობარეთი სანიაღვრე არხების მოწყობა 34 633.3 ლარი.

ძველი სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია 34 167.5 ლარი.

ორგორა სპორტული ტრენაჟორის მოწყობა 33 607 ლარი.

საყუდაბელი სანიაღვრე არხების მოწყობა 27 366.35 ლარი.

აწყვიტა გარე განათების მოწყობა 45 888 ლარი.

ხერთვისი სარწყავი არხების რეაბილიტაცია 35 822 ლარი.

ტოლოში სასმელი წყლის დათავე ნაგებობისა და გზის საყრდენი კედლის რეაბილიტაცია 47544.89 ლარი. (ტენდერი)

გელსუნდა სოფლის ხიდების რეაბილიტაცია 24 072.1 ლარი.
ნაქლაქევი საბავშვო სკვერის შესაბამისი ინვენტარის შეძენა და გარე განათების მოწყობა 47 720.1 ლარი.
ფია სპორტული ტრენაჟორის მოწყობა 33 365.9 ლარი.

თმოგვი სპორტული ტრენაჟორის მოწყობა 32 915.1 ლარი

მირაშხანი სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია 30 076.3 ლარი.

სულ 849 268.56 ლარი.

მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

1. სოფელში ხერთვისში გარე განათების რეაბილიტაცია 12 9661.6 ლარი.
2. სოფელ დამალის შესასვლელში საყრდენი კედლის (გაბიონის) მოწყობა 43 955.09 ლარი.
3. დაბა ასპინძაში და სოფელ საროში საბავშვო ატრაქციონების მოწყობა და დაბა ასპინძაში ტრენაჟორების მოწყობა 99 069 ლარი
4. **დაბა ასპინძაში** გარე განათების რეაბილიტაცია 64 000 ლარი (ტენდერზეა).

5. ასპინძის მუნიციპალიტეტის **სოფელ მირაშხანში** რიტუალების სახლის რეაბილიტაცია (მოქალაქეთა ჩართულობა) 73 489 ლარი.
6. ასპინძის მუნიციპალიტეტის **სოფელ ივერიაში** რიტუალების სახლის რეაბილიტაცია (მოქალაქეთა ჩართულობა) 74 890 ლარი.

სულ 485 064.69 ლარი.

2025 წელს გაცემული მშენებლობის ნებართვები და შეთანხმებები

1. გაიცა ხაზოვან ნაგებობებზე 27 შეთანხმება.
2. გაიცა მშენებლობის ნებართვა III კლასი 3 ნებართვა.
3. გაიცა მშენებლობიის ნებართვა II კლასი. 12 ნებართვა
4. გაიცა მშენებლობის ნებართვა I კლასი (შენობა ნაგებობები) 8 ნებართვა
5. სამსახურში სულ შემოსულია 1 146 ერთეული კორესპოდენცია, რომელიც დამუშავდა და გაეცა შესაბამისი პასუხები. აქედან 57 წერილი სტიქიებთან და ავარიულ საცხოვრებლებთან დაკავშირებით საიდანაც 44 მოქალაქეს გაეწია თანხობრივად და სამშენებლო მასალებით შესაბამისი დახმარებები 72 675.1 ლარის ოდენობით.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური

ასპინძის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური ყოველწლიურად თავისი პროფილიდან გამომდინარე ახორციელებს კალენდარული გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

2025 წელში სამსახურს კალენდარული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი აქვს 222 000 ლარი, მათ შორის 200 000 ლარი კულტურული, შემეცნებითი და ახალგაზრდული ღონისძიებებისათვის, ხოლო 22 000 ლარი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზებაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ კალენდარული სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებიდან გაიმართა შემდეგი აქტივობები, კერძოდ:

თებერვალი:

7 თებერვალს - წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიამ დაბის N1 და N2 საბავშვო ბაღებს საჩუქრად წიგნები გადასცა.
ღონისძიების ფარგლებში უფროსებმა პატარებს წიგნებიდან ამონარიდები წაუკითხეს. ღონისძიება მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ორგანიზებით გაიმართა.

მარტი:

3 მარტს - დედის დღეს ასპინძის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მრავალშვილიან დედებს და მათ ოჯახებს დედის დღე მიულოცეს და საჩუქრად ყვავილები გადასცეს.

8 მარტის, ქალთა საერთაშორისო დღეს ასპინძის კულტურის ცენტრში საზეიმო კონცერტი გაიმართა.

საზეიმო კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ა(ა)იპ ,,ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება - კულტურის ცენტრის შემოქმედებითი ჯგუფები. ასპინძის ბავშვთა საესტრადო ჯგუფი, ვ. მაღრაძის სახელობის ასპინძის სამუსიკო სკოლის მოსწავლეები, სოფელ ივერიის საჯარო სკოლის მოსწავლეები.

ღონიძიებას ორგანიზება ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურმა გაუწია.

21 მარტს დაუნის სინდრომის მქონე პირთა საერთაშორისო დღეს მუნიციპალიტეტი თანადგომის აქციით შეუერთდა. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, მუნიციპალიტეტში მოქმედი ა.(ა).ი.პ -ბის თანამშრომლები, რომლებმაც დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების მიმართ სოლიდარობის ნიშნად ხელებზე ფერადი წინდების გაკეთებით

22 მარტს -,,საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა-2025''-ის ფარგლებში ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კორხის საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში გაიმართულ რეგიონალური თამაშები სპორტულ სახეობა ფრენბურთში, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ ასპინძის მუნიციპალურ თამაშებში გამარჯვებული სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის გოგონათა და სოფელ ოშორის საჯარო სკოლის ფრენბურთელ ბიჭების გუნდები. გოგონათა შორის პირველი ადგილი სოფელ ნაქალაქევის გუნდმა მოიპოვა, ხოლო ბიჭებს შორის მეორე ადგილი ოშორის გუნდმა.

აღნიშნულ ტურნირებში სპორტსმენების სასპორტო ფორმებითა და ტრანსპორტირებით უზრუნველყო სამსახურმა

29 მარტი- ,,საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა-2025''-ის ფარგლებში ნინოწმინდის საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში გაიმართა რეგიონალური თამაში სპორტულ სახეობა მაგიდის ჩოგბურთში.

აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობას ღებულობდნენ ასპინძის მუნიციპალურ თამაშებში გამარჯვებული სოფელ აწყვიტის საჯარო სკოლის გოგონათა და ბიჭების გუნდები.

ჩოგბურთის ტურნირში ბიჭებს შორის მეორე ადგილი სოფელ აწყვიტის გუნდმა მოიპოვა.

აღნიშნულ ტურნირებში სპორტსმენების სასპორტო ფორმებითა და ტრანსპორტირებით უზრუნველყო სამსახურმა

აპრილი:

5 აპრილი- ასპნძის გართობისა და დასვენების პარკში მდებარე მინი- ფეხბურთის ხელოვნურ საფარიან მედანზე, მინი ფეხბურთში „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2025“ -ის რეგიონული თამაშები გაიმართა.

აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობას ღებულობდნენ ასპინძის მუნიციპალურ თამაშებში გამარჯვებული დაბა ასპინძის საჯარო სკულის ბიჭებისა და სოფელ ივერიის საჯარო სკოლის გოგოების ფეხბურთელთა გუნდები, სადაც სოფელ ივერიის საჯარო სკოლის გოგოების ფეხბურთელთა გუნდმა დაიკავა მეორე ადგილი.

გამარჯვებულ გუნდებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა თასები, მედლები და სიგელები გადასცეს.

პირველ ადგილზე გასული გუნდები აღმოსავლეთ საქართველოს თამაშებში მიიღებენ მონაწილეობას.

ღონიძიებას ორგანიზება ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურმა გაუწია.

9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის დღეს- წმ. გიორგის სახელობის ასპინძის ხვილიშის ეკლესის ეზოში მდებარე 9 აპრილის მემორიალთან გაიმართა თემატური ღონისძიება, კერძოდ: ასპინძის მუნიციპალიტეტში სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპული გმირები გაიხსენეს. ხსოვნის პატივსაცემად ასპინძის მოსახლეობამ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად 9 აპრილის მემორიალი გვირგვინითა და ყვავილებით შეამკო დაღუპულთა სულების უკვდავსაყოფად პანაშვიდი ასპინძის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურმა აღავლინა. მოსახსენიებელი პანაშვიდის შემდეგ სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება-კულტურის ცენტრის შემოქმედებითი ჯგუფის მონაწილეობით გაიმართა თემატური ღონისძიება.

10 აპრილს- საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისადმი მიძღვნილ შიდა სასკოლო და სკოლათაშორისი სპორტულ ღონისძიებებს ასპინძის მუნიციპალიტეტი შეუერთდა. „საქართველოს თავისუფლების თამაშები“ -ის ფარგლებში სპორტულ სახეობა მაგიდის ჩოგბურთში ასპინძის საჯარო სკოლის დარბაზში შეჯიბრი გაიმართა. თამაშებში მონაწილეობდენ ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 9 საჯარო სკოლის ასპინძის, ჭობარეთის, დამალის, ნიჯგორის, იდუმალის, ხერთვისის, აწყვიტის, ხიზაბავრისა და ოთის ბიჭებისა და გოგოების გუნდები. აღნიშნულ თამაშებში გამოვლინდნენ გამარჯვებულები, გამარჯვებულებს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურის მიერ მედლები და სიგელები გადაეცათ.

13 აპრილს-ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურის ინიციატივით ჩატარდა კალიგრაფიის კონკურსი. რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ 15-18 წლის ასაკის ახალგაზრდები, გამოვლინდნენ გამარჯვებული მოსწავლეები, რომელთაც სახალხო დრესასწაულ ასპინძობა-2025 ღონისძიების ფარგლებში გადაეცათ სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

14 აპრილს, ა(ა)იპ ,,ასპინძის ვ. მაღრაძის სამუსიკო სკოლის'' დარბაზში ა(ა)იპ ,,მთავარი ბიბლიოთეკის'' საბავშო განყოფილების ორგანიზებით ქართული ენის დღესთან დაკავშირებით ღონისძიება ჩატარდა თემაზე ,,შენ ფუძევ ჩვენო -ენავ ქართულო''.

ღონისძიებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები ბიბლიოთეკის პატარა მკითხველები, რომლებმაც ისაუბრეს ქართული ენის მნიშვნელობაზე და წაიკითხეს ლექსები. ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდნენ ა(ა)იპ ,,ვ. მაღრაძის სამუსიკო სკოლისა'' და ივერიის საჯარო სკოლის მოსწავლეები.

15 აპრილს -ასპინძის კულტურის ცენტრში ,,პირველობა ნარდში'' ჩატარდა. აღნიშნულ პირველობაზე მონაწილეობდნენ ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ნარდის მოყვარულები, როგორ მამაკაცები ასევე ქალები. პირველობაზე გამოვლინდნენ გამარჯვებულები:

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიამ საპრიზო ადგილზე გასული მონაწილეები თასით, სიგელებით და შესაბამისი ხარისხის მედლებით დააჯილდოვეს. ასევე, პირველ ადგილზე გასულ გამარჯვებულ მონაწილეებს საჩუქრად ნარდი გადაეცათ. ღონისძიება სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა.

25 აპრილს- ასპინძაში 1770 წლის 20 აპრილს მომხდარი ასპინძის ბრძოლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ამ დღესთან დაკავშირებით, ასპინძის ომის ამსახველი მონუმენტური ძეგლი, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა , ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარემ, სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მოსახლეობასთან ერთად გვირგვინითა და ყვავილებით შეამკეს.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ადგილობრივ მეწარმეთა ნამუშევრების და პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა. დაბის ცენტრში მოწყობილ სცენაზე ჩატარადა ამ დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება - კულტურის ცენტრი, ფოლკლორული ანსამბლი ,,წუნდა'', ასპინძის ქორეოგრაფიული ანსამბლები ,,სამცხე''და „ვარძია“, სოფელ ჭობარეთის ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ერისა'' და მოწვეული ჯგუფი ,,ფორტე''.''

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით ჩატარებულ კალიგრაფიის კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები ღონისძიებაზე სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

28 აპრილს - ,,საქართველოს თავისუფლების თამაშები“ -ის ფარგლებში სპორტულ სახეობა მძლეოსნობაში სირბილი (100) მეტრი ასპინძის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა.

თამაშებში მონაწილეობდენ ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 11 საჯარო სკოლის ასპინძის, ჭობარეთის, ნიჯგორის, იდუმალის, ხერთვისის, ხიზაბავრის, ნაქალაქევის, საროს, ოშორის, ტოლოშის და ოთის ბიჭებისა და გოგოების გუნდები.

აღნიშნულ თამაშებში გამოვლინდნენ გამარჯვებულები: გამარჯვებულებს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურის მიერ მედლები და სიგელები გადაეცათ.

მაისი:

3 მაისს- საქართველოს თავისუფლების თამაშების“ ფარგლებში ასპინძის საჯარო სკოლის დარბაზში 3X3 კალათბურთის თამაშები ჩატარდა.

თამაშებში ასპინძის მუნიციპალიტეტის 4 საჯარო სკოლის - ასპინძის, ოშორის, ტოლოშისა და ნაქალაქევის სკოლების ბიჭებისა და გოგონების გუნდები მონაწილეობდენ.
ბიჭების გუნდში პირველ ადგილზე ტოლოშის სკოლა გავიდა,მეორეზე ასპინძის ხოლო მესამე ადგილზე ნაქალაქევის საჯარო სკოლა.
გოგონების გუნდში პირველი ადგილი ტოლოშის სკოლამ მოიპოვა, ხოლო მეორე ადგილზე ნაქალაქევის სკოლა გავიდა.
გამარჯვებულებს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურმა მედლები და სიგელები გადასცა.
15 მაისიდან -29 მაისის ჩათვლით ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა ,მოყვარულთა ლიგა 2025''-ის მუნიციალური, რომელშიც მონაწილეობას მიიღეს ასპინძის მუნიციპალიტეტში შემავალმა ცხრა ადმინისტრაციული ერთეულის მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდებმა. 29 მაისს, დაბა ასპინძის ცენტრალურ სტადიონზე აღნიშნული ტურნირის ფინალი სოფელ ტოლოშისა და სოფელ რუსთავის გუნდებს შორის გაიმართა, შეჯიბრის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული - სოფელ რუსთავის გუნდი. გამარჯვებული ფეხბურთელები დააჯილდოვდნენ სამახსოვრო თასით, სიგელებით და მედლებით.
24 მაისი -საქართველოს თავისუფლების თამაშების“ ფარგლებში დაბა ასპინძის ხელოვნურ საფარიან მინი-ფეხბურთის მოედანზე თამაშები ჩატარდა.
თამაშებში ასპინძის მუნიციპალიტეტის 11 საჯარო სკოლის სკოლების ბიჭების გუნდები მონაწილეობდენ.
პირველ ადგილზე ივერიის საჯარო სკოლა გავიდა,მეორეზე ოშორის საჯარო სკოლა ხოლო მესამე ადგილზე ნაქალაქევის საჯარო სკოლა.
გამარჯვებულებს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურმა მედლები და სიგელები გადასცა.
26 მაისი - საქართველო დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს. ეს ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღესასწაულია, ამ დღის აღსანიშნავად მუნიციპალიტეტში გაიმართა საზეიმო კონცერტი , სადაც მონაწილოეობა მიიღეს ა.ა.ი.პ-ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო გაერთიანება-კულტურის ცენტრისა და მუნიციპალიტეტში მოქმედი მოზარდი ახალგაზრდების შემოქმედები ჯგუფებმა და სახელოვნებო სკოლის პედაგოგებმა და მოსწავლეებმა, შეიმკო ასპინძის სამკუთხა სკვერში მდებარე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მემომართა მემორიალი აღევლინა მათი სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი.

ივნისი:

1 ივნისს - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებათა გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაღის ყველა სააღმზრდელო ჯგუფს მუნიციპალიტეტისაგან გადაეცემათ საჩუქრად სათამაშოები.
24 ივნისი - „არა ნარკოტიკს“ - კამპანიის ფარგლებში, ასპინძაში, მინი ფეხბურთის ჩემპიონატი გაიმართა.

ჩემპიონატი ნარკოტიკული საშუალებების წინააღმდეგ მიმართული კამპანიის ფარგლებში საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციისა და ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ჩატარდა.

მუნიციპალურ თამაშებში შვიდმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა, საიდანაც სამი გამარჯვებული გამოვლინდა: პირველ ადგილზე სოფელ ძველის გუნდი, მეორეზე - სოფელ ტოლოშის, ხოლო მესამე ადგილზე ასპინძის გუნდი გავიდა.

საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს თასები და მედლები გადაეცათ.

ჩემპიონატის მომდევნო ეტაპზე, გამარჯვებულმ გუნდმა რეგიონულ პირველობაზე იასპარეზა, „არა ნარკოტიკს“ კამპანიის მიზანი ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა იყო.

აგვისტო:

3 აგვისტოს

8 აგვისტოს, აგვისტოს ომის მე-17 წლისთავთან დაკავშირებით, დაბა ასპინძის გართობისა და დასვენების სამკუთხა პარკში ასპინძის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოსახლეობასთან ერთად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს და ომში დაღუპულ გმირების ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს. გარდაცვლილთა სულების მოსახსენიებლად აღევლინა პანაშვიდი. ააიპ. ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება კულტურის ცენტრის შემოქმედებითი ჯგუფისა და ანსამბლი წუნდის მონაწილეობით გაიმართა მცირე თემატური ღონისძიება

12 აგვისტოს ტრადიციულად, სოფელ დამალაში, კოხტას ციხეზე გაიმართა ცოტნე დადიანის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ღონისძებაში მონაწილეობას იღებდა ააიპ. ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება კულტურის ცენტრის შემოქმედებითი ჯგუფი და ანსამბლი წუნდა.

სექტემბერი:

15 სექტემბერი- მოზარდ თაობაში წიგნის პოპულარიზაციის მიზნით საჩუქრად გადეცემათ წიგნები სასწავლო წლის დასაწყისში მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პირველკლასელებს’

25 სექტემბერი - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავში ტრადიციული ,,პოეზიის სახალხო დღესასწაული - ,,შოთაობა-2025'' გაიმართა. ღონისძიების პარალელურად გაიმართა ხალხური რეწვის ოსტატების ნამუშევრების გამოფენა გაყიდვა, სპორტული შეჯიბრებები მკლავჭიდში, ჭიდაობასა და საჯილდაო ქვის აზიდვაში. სპორტულ ღონისძიებებში გამარჯვებულებს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით დაწესებული სიგელები და საჩუქრები გადაეცათ.

დღესასწაულის პროგრამის ფარგლებში საზეიმო ვითარებაში სამი მოქალაქეს გადაეცა წოდება ,,საპატიო ასპინძელი''-ს მოწმობა და მედალიონი

დღესასწაულზე ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიამ ახალდაქორწინებული წყვილები ტრადიციულად ,,ვეფხისტყაოსანით'' დაასაჩუქრა.

პოეზიის სახალხო დღეასაწაულზე ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულს გადეცა ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაწესებული პირველი პრემია (1500) ლარი.

სამსახურმა თებერვლიდან- სექტემბრის თვის მონაკვეთში ძეგლების სეზონური მონიტორინგის ფარგლებში შეძლებისდაგვარად მოახდინა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლების მდგომარეობის ინსპექტირება.

ვთანამშრომლობდით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოვლინებულ ექსპედიციებთან, რომლებიც მიმდინარე წელს ანხორციელებდნენ არქეოლოგიურ, სარესტავრაციო და სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით ვთანამშრომლობთ სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მედიასთან.

ტურისტული მიმართულებით სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა ტურიზმის ადგილის მართვის ოგანიზაციასთან (DMO) , მათთან თანამშრომლობის ფარგლებში მოხდა ტურისტული ბილიკების პოექტირება. ასევე ასპინძის მერიის ინიციატივითა და ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის ჩართულობით შეიქმნა ვიდეორგოლი, რომელიც ასახავს ასპინძის მუნიციპალიტეტში არსებულ ღირშესანიშნაობებსა და ისტორიულ ძეგლებს.

ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური

1.სამსახურში შემოსულია 788 სხვადასხვა ხასიათის კორესპონდენცია და მოხდა შესაბამისი რეაგირება.

2. ასპინძის მუნიციპალიტეტს დამატებით ქონებად გადმოეცა 2 არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

3. ა(ა)იპ „ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანებაკულტურის ცენტრი“-ს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ტოლოშის, დამალის, ხერთვისის, თმოგვის და ხიზაბავრის კლუბის შენობები. ასევე, ა(ა)იპ ''საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს'' 2 წლის ვადით, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაეცა სოფელ თმოგვში ამბულატორიისათვის განკუთვნილი 37.3 კვ.მ. ფართი.

4. განხორციელდა ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების თხოვების ფორმით, უსასყიდლოდ, არსებობის ვადით სარგებლობაში გადაცემა ა(ა)იპ-ებზე: ა) სატრანსპორტო საშუალება მარკა/მოდელი FOTON პიკაპი/PICK-UP, სახელმწიფო ნომრით HL156HL გადაეცა ა(ა)იპ „ასპინძის მელიორაციისა და სოფლების სასმელი წყლის ცენტრი“-ს; ბ) სპეციალური სატრანსპორტო საშუალება SHACMAN S5188TCXDR462, სახელმწიფო ნომრით JD657JJ გადაეცა ა(ა)იპ „ასპინძის კეთილმოწყობა“-ს.

5. გაფორმდა მიწის იჯარის ერთი ხელშეკრულება.

6. ჩატარდა ელექტრონული აუქციონი 3 მოძრავ ქონებაზე, რომელიც არ შედგა.

7. შესრულდა მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის ეფექტიანობის სახელმწიფო აუდიტის ფარგლებში გაცემული 4 რეკომენდაცია.

8. მუნიციპალიტეტში შემოსულია საიჯარო ქირა 21 542.00 ლარის ოდენობით.

9. მერის რწმუნებულების მოთხოვნის საფუძველზე, მუნიციპალური სამუშაოების შესასრულებლად ექსკავატორის გადაცემის შესახებ გაიცა 52 ბრძანება.

10. შედგენილია დიზელის ჩამოწერის 52 აქტი და ექსკავატორის მუშაობის შედეგად გახარჯულია 2451 ლიტრი დიზელის საწვავი.

ადმინისტრაციული სამსახური

2025 წლის 9 თვის განმავლობაში პროგრამა MSDA-ში ატვირთულია 1848 კორესპოდენცია, პროგრამა MMS-ში სოციალური მომსახურების პორტალში 1880 განაცხადი. გასული პასუხების რაოდენობაა - 1936. საქართველოს ფოსტაში დარეგისტრირდა 161 წერილი. საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსულია 12 განცხადება, რაზეც პასუხად გაიგზავნა 91 საჯარო ინფორმაცია.

სამსახური ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებას უწევს საკონკურსო კომისიის მუშაობას.

2025 წელს მთავრობის ადმინისტრაციის ვებგვერზე ჩვენსმიერ სამჯერ გამოცხადდა კონკურსი, მა თ შორის: იანვარში - კონტროლისა და შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე, მაი სში - ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე და სექტემბრის თვეში ადმინისტრაციული სამსახურის განყოფილების სტაჟიორის პოზიციაზე. კონკურსის შედეგები ვადების დაცვით ასახულია hr.gov.ge-ზე შესაბამის მოდულში.

ჩვენს მიერ მომზადებულია სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ 7, წარმომადგენლობითი ხარჯებიდან თანხის გამოყოფის შესახებ 7, თანამშრომელთა შვებულების შესახებ 71 და მივლინების შესახებ 48 ბრძანება.

ადმინისტრაციულ ერთეულებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მიერ განხილული და შესრულებულია 50 კორესპოდენცია, მერიის ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე აიტვირთა 243 პოსტი შესაბამისი ფოტომასალით.

სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში ვიზირებულია 583 სხვადასხვა ტიპის დოკუმენტი, მომზადებულია 239 გასული და 427 შიდა წერილი. სამსახურის უფროსი მონაწილეობას ღებულობდა სატენდერო, საკონკურსო და სხვა დროებითი კომისიების მუშაობაში.

ადმინისტრაციული სამსახურის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ კულტურულ, სპორტულ, საგანმანათლებო და სახალხო ღონისძიებებში, აგრეთვე სხვადასხვა აქციებში.

სამსახური მასზე დაკისრებულ ფუნქციებს ასრულებს დამაკმაყოფილებლად. ამ ეტაპზე არ არსებობს საშტატო ერთეულების რიცხოვნობის გაზრდის ან შემცირების საჭიროება. სამსახურის სტრუქტურა, საშტატო პოზიციები და თანამშრომელთა სამუშაოს აღწერილობები (ფუნქცია-მოვალეობები) არის თითქმის ოპტიმალური.

იურიდიული სამსახური

საანგარიშო პერიოდში: - სამსახურმა განახორციელა სულ 610 მოქმედება, რაც მოიცავდა, შიდა მიმოწერებს, გარე წერილებს, ბრძანებების, ხელშეკრულებების და მემორანდუმების პროექტებს. მათი შესრულებისათვის განყოფილების (უფროსო ლ. გვირჯიშვილი) მიერ მომზადდა ბრძანების პროექტები, რომელიც ეხებოდა: სარგოებს და საშტატო ნუსხას, ხარჯთაღრიცხვებს, გეგმებს და მათში ცვლილებების შეტანას, აუქციონის ჩატარებას, მიწის იჯარება, სამშენებლო ნებართვებს, სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფას, სოფლის პროექტების თანადაფინანსებას და სხვა საკითხებს;

სამსახურის მიერ მომზადდა გარე ვაჭრობის წესი, სხვადასხვა სახის ხელშეკრულებები და მემორანდუმები.

„MMS“პროგრამაში სამსახურის უფროსის მუშაობა შემოიფარგლება სოციალურ პროგრამების განსახორციელებელ საქმეებზე ვიზირებით, რომელთა რაოდენობამ შეადგიან 1088 .

მერიასა და სამცხე- ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე სამსახური მონაწილეობდა სტუდენტთა პროფესიულ პრაქტიკასთან დაკავშირებით;

გაცნობისა და წინადადებებისათვის დაგვეწერა 23 კანონპროექტი, რომელზეც ჩვენი მოსაზრება მითითებულ ვადაში ვაცნობეთ;

ერთხელ მოვახდინეთ თანამშრომელთა შუალედური შეფასება დადგენილი წესის და კომპეტენციების შესაბამისად;

კონკრეტულ სადავო საკითხებთან მიმართებაში მოვამზადეთ სარჩელები და შესაგებელი სასამართლოში საქმის წარმოების გამო.

მიმდინარე წელს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მონაწილეობით აქტიურ წარმოებაშია 5 სასამართლო საქმე. დღეისათვის ცნობილია, მხოლოდ 4 საქმის ჩანიშვნის თარიღი. თითოეული საქმის მიმართ წარდგენილი გვაქვს პასუხები.

2024 წლის 15 მაისის №.120.120241362 ბრძანების შესაბამისად უფროსი სპეციალისტი მარიამ ნემსაძე კვლავ ასრულებს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის მოვალეობას.

სამსახურის უფროსი კვლევ მონაწილეობს სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა ერთჯერადი კვების უფასო სასადილოში კვების და საკვები პროდუქტების ინსპექტირების ჯგუფის, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და დისციპლინური წარმოების დამოუკიდებელი კომისიის, ასპინძის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის და ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირის ცხოვრების (ყოფნის) დამდგენი კომისიის მუშაობაში. ამ უკანასკნელმა 2025 წლის 05 სექტემბრის სხდომის ოქმის საფუძველზე დაადგინა შუშიკ აკოფიანის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ დამალაში ცხოვრების ფაქტი 1993 წლის 31 მარტისთვის. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კონტროლისა და შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტორული შემოწმების მასალებზე რეაგირების მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი თანმიმდევრულად იხილავს აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილ საკითხებს.

ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური

ასპინძის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიზნობრივი ,,მოქალაქეთა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის“ ხარჯვის ზოგადი წესის ფარგლებში ისარგებლა 1058 ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულმა და მცხოვრებმა მოქალაქემ. მათ შორის:

- ერთჯერადი უფასო კვების სასადილოთი ყოველდღიურად სარგებლობს 51 ბენეფიციარი;

- ქირურგიული ოპერაციების მუხლიდან დაფინანსებულია 179 მოქალაქე - 82551 ლარის ოდენობით;

- ახალდაბადებულ ბავშვიან 66 ოჯახზე გაცემულია 35000 ლარი;

- სხვა სოციალური ხარჯების მუხლიდან დაფინანსებულია 813 მოქალაქე - 612 834 ლარის ოდენობით; აღნიშნული მუხლის მიზნობრივი მიმართულებებია: მრავალშვილიანი ოჯახები, ომისა და სამხედრო ძალების შშმ ვეტერანები, დაღუპული ვეტერანის ოჯახები, იძულებით გადაადგილებული პირები, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახები, შშმ არასრულწლოვანები, მინდობით აღზრდაში და

რეინტეგრაციაში მყოფი პირები, ასი წლის და ას წელზე უხნესი ასაკის ხანდაზმულები, 18 წლამდე ასაკის ბავშვები, ონკოლოგიური დაავადების მქონე პირები, დიალეზზე მყოფები, მუდმივად მწოლიარე და ეტლით მოსარგებლეები, პნევმონიით დაავადებულები, სტიქიური უბედურების დროს დაზარალებული და უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქეები.

სულ, დღეის მდგომარეობით შემოსულია 1165 განცხადება, დაკმაყოფილებულია - 1058, განხილვის ეტაპზეა - 47, პირველი იანვრიდან დღემდე უარი ეთქვა 10 მოქალაქეს.

პროგრამის სრული მოცულობის - 932000 ლარიდან გახარჯულია - 767197ლარი.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კონტროლისა და შიდა აუდიტის სამსახური

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კონტროლისა და შიდა აუდიტის სამსახურის მიერ რისკის შეფასების საფუძველზე მოხდა 2025-2027წწ. სტრატეგიული გეგმის შემუშავება. სტრატეგიული გეგმის საფუძველზე შემუშავდა 2025 წლის სამუშაო გეგმა, რომელიც მოიცავს 6 (ექვს) აუდიტის ობიექტს. წლიური გეგმის თანახმად, კონტრტოლისა და შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ამ დროისათვის ჩატარებულია:

შესაბამისობის აუდიტი ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის 2 (ორი) სტრუქტურულ ერთეულში, კერძოდ:

- ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის, ზედამხედველობის სამსახური;
- ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის, სახელმწიფო შესყიდვების სამსახური.

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი მერიის მიერ დაფუძნებულ 2 (ორი) არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირში, კერძოდ:

- ა(ა)იპ ვ.მაღრაძის სახ. ასპინძის სამუსიკო სკოლა
- ა(ა)იპ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრი

ამჟამად (მიმდინარე წლის 25 აგვისტოდან 10 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში) **ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი** მიმდინარეობს „ ა(ა)იპ ასპინძის კეთილმოწყობა“-ში.

თითოეული აუდიტის ობიექტის შემოწმება მოხდა წლიური გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, აუდიტის ობიექტების მიმართ შედგენილ იქნა აუდიტორული ანგარიში. შესამოწმებელი საკითხების ფარგლებში გაიცა რეკომენდაციები. განხორციელდა მონიტორინგი გაცემულ რეკომენდაციების შესრულებაზე.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კონტროლისა და შიდა აუდიტის სამსახურმა 2025 წლის გეგმის თანახმად 23 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით განვახორციელეთ, ჩვენს მიერ 2023 - 2024 წელს ჩატარებული აუდიტორული შემოწმებისას გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა შემდეგ აუდიტის ობიექტებში:

1. ა(ა)იპ ასპინძის სასპორტო გაერთიანება (საანგარიშო პერიოდი 2022-2023 წწ.) ჩატარდა საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, გაიცა 4 რეკომენდაცია, გადამოწმდა 4 რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა.
2. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური (საანგარიშო პერიოდი 2021-2023 წწ);; ჩატარდა საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი. გაიცა 4 რეკომენდაცია. გადამოწმდა 3 რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა. 1 რეკომენდაცია არ გადამოწმდა, რადგან გაცემული რეკომენდაცის შესრულების ვალდებულება კულტურის სამსახურს არ ქონდა.
3. ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება. (საანგარიშო პერიოდი 2022-2023წწ); ჩატარდა საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი. გაიცა 3 რეკომენდაცია. გადამოწმდა 3 რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა.
4. ა(ა)იპ სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება - კულტურის ცენტრი (საანგარიშო პერიოდი 2021-2023წწ). 2024 წლის დეკემბრის თვეში ჩატარებული მონიტორინგისას ზემოაღნიშნულ აუდიტის ობიექტს გაცემული რეკომენდაციების ნაწილი დარჩა შეუსრულებელი (ჩასატარებელი ჰქონდა სავალდებულო ინვენტარიზაცია). ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კონტროლისა და აუდიტის სამსახურმა, მიმდინარე წლის მაისისა და ივნისის თვეში ზემოაღნიშნულ დაწესებულებაში ჩაატარა სავალდებულო ინვენტარიზაცია, შესაბამისად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა აღარ გადამოწმებულა.

მონიტორინგის შედეგად ორგანიზაციების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა შეფასდა დამაკმაყოფილებლად. მონიტორინგისას აუდიტის ობიექტებში გამოვლინდა სხვადასხვა სახის ხარვეზები, მაგრამ გამოვლენილ ხარვეზებს ხელი არ შეუშლიათ ორგანიზაციების ნორმალური ფუნქციონირებისათვის.